ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4015140

ნომერი: AR1606594

თარიღი : 07.06.2018

გაცემის თარიღი : 14.06.2018

გაცნობის თარიღი : 14.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 1 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 1 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N1-სა და გამსახურდიას გამზირი N36-ის საცხოვრებელ სახლებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ მაჭავარიანი პ/ნ 01008023070
- თბილისი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

..სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის ნომერი: ..სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის თარიღი : - ვინაიდან 27.03.2018წ. №3886311 გადაწყვეტილებით გაცემული თანხმობის შემდგომ, იგივე ფართის ფასადზე (ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ.ყაზბეგის გამზირი, N1, მიმდებარედ/ალ. ყაზბეგის გამზირი N1_სა და გამსახურდიას გამზირი N36_ის საცხოვრებელ
სახლებს შორის, #ნაკვ. 01.10.14.012.030, შ.პ.ს. „GREEN WAY“, საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე) 30.05.2018წ №3988448 გადაწყვეტილებით გაიცა სარეკლამო აბრების, ნეონის და დიოდის განათების მოწყობის შესაძლებლობაზე თანხმობა , ასჭიროა ამ ველებში დააფიქსიროთ ბოლო გადაწყვეტილება .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაცვლელი იქნება მოთხოვნის შინაარსია ტექსტიც (ჩაწერეთ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია);

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : - წარმოდგენილი იქნას განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი დღეის მდგომარეობით დათარიღებული სახით;

..კორექტირებული ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : გაითვალისწინეთ: "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე- 2 პუნქტის თანახმად, "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე".
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით).

წარმოდგენილი იქნას განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი დღეის მდგომარეობით დათარიღებული ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული და ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით შესწორებული მასალისა და დეტალური ზომების მითითებით;

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.